

# გეოგრაფია

## დარგობრივი დოკუმენტი - სამუშაო ვარიანტი

### I. სფეროს აღწერა

გეოგრაფია წარმოადგენს მეცნიერებას, რომელიც შეისწავლის დედამიწაზე არსებული ობიექტებისა და სისტემების ორგანიზაციისა და ფუნქციონირების სივრცით-დროით ასპექტებს. გეოგრაფიის შესწავლის ზოგად ობიექტს შეიძლება წარმოადგენდეს ნებისმიერი მოვლენა, პროცესი და სისტემა რომელსაც გააჩნია (ან შეიძლება პოტენციურად გააჩნდეს) სივრცითი სტრუქტურა.

გეოგრაფია დაკავშირებულია ყველა სხვა სამეცნიერო დისციპლინასთან, რომელიც შეისწავლის დედამიწაზე არსებული სისტემების ორგანიზაციისა და განვითარების არასივრცით ასპექტებს. ამ თვალსაზრისით გეოგრაფია გამოდის საზოგადოებრივი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების დამაკავშირებელი დისციპლინის როლში.<sup>1</sup> შესაბამისად ის ერთდროულად მოიცავს საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო ცოდნას. გეოგრაფიის უმთავრესი მიზანია საზოგადოებისა და ბუნების ურთიერთობის შესწავლა მისი ოპტიმიზაციის მიზნით.

ტრადიციულად გეოგრაფიაში გამოყოფენ ორ ფრთას – საბუნებისმეტყველოს და საზოგადოებრივს. საბუნებისმეტყველო გეოგრაფიის ნაცვლად, ან მასთან ერთად, გამოიყენება ტერმინი „ფიზიკური გეოგრაფია“. გარდა ამისა, ცალკე გამოიყოფა *თეორიული გეოგრაფია*, აგრეთვე *ქვეყანათმცოდნეობა*, როგორც საბუნებისმეტყველო და საზოგადოებრივი ფრთების გამაერთიანებელი დისციპლინა და *კარტოგრაფია* (გეოდეზიისა და გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების ჩათვლით), რომელიც უზრუნველყოფს ყველა სხვა გეოგრაფიული დისციპლინის ფუნქციონირებას.

საბუნებისმეტყველო გეოგრაფიას მიეკუთვნება:<sup>2</sup>

- ფიზიკური გეოგრაფია,
- გეომორფოლოგია,
- ჰიდროლოგია,
- კლიმატოლოგია,
- ბიოგეოგრაფია,
- ნიადაგების გეოგრაფია

საზოგადოებრივ გეოგრაფიას მიეკუთვნება:

- ეკონომიკური გეოგრაფია,

---

<sup>1</sup> გეოლოგიასთან ერთად გეოგრაფია აგრეთვე ერთიანდება დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებებში.

<sup>2</sup> საბუნებისმეტყველო გეოგრაფიის ნაცვლად, ან მასთან ერთად, ტრადიციულად გამოიყენება ტერმინი „ფიზიკური გეოგრაფია“. ამავე დროს ფიზიკური გეოგრაფია, როგორც ასეთი (ზოგადი დედამიწათმცოდნეობის, ლანდშაფტმცოდნეობისა და პალეოგეოგრაფიის ჩათვლით), შედის საბუნებისმეტყველო გეოგრაფიის შემადგენლობაში როგორც ცალკე დისციპლინა.

- სოციალური გეოგრაფია,
- მოსახლეობის გეოგრაფია,
- ქალაქების გეოგრაფია,
- კულტურის გეოგრაფია,
- განვითარების გეოგრაფია,
- მეურნეობის გეოგრაფია,
- პოლიტიკური გეოგრაფია

მრავალი გეოგრაფიული დისციპლინა ერთდროულად ამა თუ იმ დონით მიეკუთვნება სხვა მეცნიერებათა სისტემებს (ბიოლოგიურის, გეოლოგიურის, ეკონომიკურის და ა.შ.) რადგანაც მკვეთრი წყალგამყოფი მათ შორის არ არსებობს. გეოგრაფიისა და სხვა სამეცნიერო დისციპლინების კონტაქტის არეში არსებობს მრავალი ე.წ. მომიჯნავე დისციპლინა (cross-disciplines), როგორცაა გეოეკოლოგია, გეოეკონომიკა, ისტორიული გეოგრაფია, გეოპოლიტიკა და ა.შ.

გეოგრაფის კვალიფიკაცია იმით არის გამორჩეული, რომ ის ფლობს დედამიწაზე მიმდინარე პროცესების სივრცე და დროით (ოთგანზომილებიან) ხედვას, რაც საზოგადოდ მხოლოდ გეოგრაფიისათვის არის დამახასიათებელი და არატრანსფერებადია.

გეოგრაფია უშუალოდაა დაკავშირებული იმ მუდმივ, სწრაფ, ინტენსიურ ცვლილებებთან, რომელსაც ადგილი აქვს როგორც საზოგადოებრივ, ასევე ბუნებრივ სისტემებში ადგილობრივ, რეგიონალურ და გლობალურ დონეებზე; მ.შ. საზოგადოების ორგანიზაციისა და მართვის მოდელების დივერსიფიკაციათან, ახალი ტექნოლოგიების დანერგვასთან, ადამიანური კაპიტალის ტრანსფორმაციასთან, მზარდ კულტურული მრავალფეროვნებასთან, გლობალურ ჰავის ცვლილებასთან და ბუნებრივი გარემოს კრიზისთან. შესაბამისად გეოგრაფიის განათლების მიზანს წარმოადგენს: *საზოგადოებრივი და ბუნებრივი სისტემების ორგანიზაციის და ფუნქციონირების სივრცე-დროითი ასპექტებისა და შესაბამისი სწრაფცვალეზადი გარემოს შესწავლა.*

აქედან გამომდინარე გეოგრაფიის პროგრამების ამოცანას წარმოადგენს *იმ ადამიანების განათლება და მომზადება, რომლებიც აწარმოებენ საზოგადოებაში და ბუნებაში მიმდინარე პროცესების სივრცე-დროით ანალიზს და მის საფუძველზე ისეთი დასკვნების მომზადებას, რომელიც ხელს უწყობს სახელმწიფო/საზოგადოებრივი/ბიზნეს-ორგანიზაციების მართვას და მათი ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლებას.*

მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისად გეოგრაფები შეიძლება დასაქმდნენ როგორც საგანმანათლებლო, ასევე სამეცნიერო ორგანიზაციებში, სხვადასხვა დონის (ცენტრალური, ადგილობრივი) სახელმწიფო მმართველობის ორგანოებში, არასამთავრობო და კერძო სექტორებში, და ა.შ.

უფრო კონკრეტულად გეოგრაფები შეიძლება დასაქმდნენ საქალაქო და ბუნებრივი გარემოს დაგეგმვისა და მართვის სამსახურებში, მიწის მართვის სისტემაში, ეკონომიკური განვითარებისა და მართვის ორგანოებსა და კომპანიებში, ამინდის პროგნოზისა და მეტეოროლოგიის სამსახურებში, სატრანსპორტო ორგანიზაციებში, საკონსულტაციო კომპანიებში, საბანკო და საფინანსო დაწესებულებებში/ფირმებში, მას მედიაში, სასტუმრო და ტურიზმის ბიზნესში, საგარეო ურთიერთობათა სისტემაში, შრომის ბაზართან და

სოციალურ უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ სფეროებში, ასევე ყველა იმ სამსახურში, სადაც საჭიროა გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემები, კარტოგრაფიული ვიზუალიზაცია და სხვა.

წინამდებარე დოკუმენტი შეეხება პირველი საფეხურის კვალიფიკაციას, რომელიც იძლევა ზოგად ცოდნას გეოგრაფიაში საზოგადოებისა და ბუნების ფუნქციონირების სივრცე-დროითი ასპექტების შესახებ, რაც სტუდენტის ფართო კომპეტენციით მომზადებას ნიშნავს.

## II. საგანმანათლებლო პროგრამის პროფილი და კვალიფიკაცია

ამდენად, გეოგრაფიის ასეთი სიფართოვე საგანმანათლებლო პროგრამებში მისი წამყვანი სფეროების სხვადასხვა გზებით ასახვის საშუალებას იძლევა. პირველ საფეხურზე გეოგრაფიის საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის ორიენტირება საბუნებისმეტყველო თუ საზოგადოებრივი გეოგრაფიის ან ზოგადად გეოგრაფიის მიმართულებით უსდ-ის გადასაწყვეტია. გეოგრაფიის სხვადასხვა მიმართულებად განვითარება ბაკალავრიატის საფეხურზე პრინციპულად ორი განსხვავებული მიდგომის შესაძლებლობას იძლევა<sup>3</sup>.

საბუნებისმეტყველო (ფიზიკური გეოგრაფიის) მიმართულებით გაიცემა საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ბაკალავრის (BSc) აკადემიური ხარისხი, ხოლო საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულებით კი სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრის (BA) აკადემიური ხარისხი. რაც შეეხება ზოგადად გეოგრაფიის პროგრამის კურსდამთავრებულისათვის მისანიჭებელ აკადემიურ ხარისხს ეს უსდ-ს გადასაწყვეტია. ნებისმიერ შემთხვევაში მინიჭებული აკადემიური ხარისხი უნდა გამოხატავდეს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს და შეესაბამებოდეს პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

გეოგრაფიის ნებისმიერი მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამა აიგება ძირითადი და დამატებითი სპეციალობის კომბინირების პრინციპით, ძირითადი და თავისუფალი კრედიტებით ან ორი ძირითადი სპეციალობის კომბინირებით. ეს უკანასკნელი უფრო ხშირად გამოიყენება მსოფლიო საუნივერსიტეტო პრაქტიკაში, რადგანაც უკეთ უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა დასაქმებას შრომის ბაზარზე.

ნებისმიერ შემთხვევაში მინიჭებული აკადემიური ხარისხი უნდა გამოხატავდეს საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს და შეესაბამებოდეს პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს.

---

<sup>3</sup> უნივერსიტეტმა უნდა თავად განსაზღვროს, რომელი ტიპის საბაკალავრო პროგრამას შესთავაზებს სტუდენტებს. კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები პროგრამის პროფილის მიხედვით უნივერსიტეტის მიერ გასათვალისწინებელი რისკია. ამავე დროს უნივერსიტეტს შეუძლია სხვადასხვა მოდულების კომბინაციის მეშვეობით ორივე ზემოთ აღნიშნული ტიპის საბაკალავრო პროგრამის განხორციელება. ცხადია, სტუდენტებს მკაფიოდ უნდა განემარტოთ პროგრამის დანიშნულება და სწავლის გაგრძელებისა თუ დასაქმების პერსპექტივები.

### III. სწავლის შედეგები

#### 1. დარგობრივი კომპეტენციები:

##### 1.1. დარგის ცოდნა და გაცნობიერება

- აცნობიერებს დედამიწიაზე არსებული სისტემების განვითარების ძირითად თავისებურებებს, მათ ფარგლებში მიმდინარე პროცესებს, მათ ისტორიასა და მატერიალურ საფუძველს;
- აღიქვამს და ესმის დედამიწიაზე მიმდინარე პროცესები და პლანეტაზე მათი გავლენის შედეგები სივრცესა და დროში;
- აცნობიერებს გლობალურ დონეზე სოციალურ-ეკონომიკური და/ან ფიზიკურ-გეოგრაფიული/ბუნებრივი პროცესების მიმდინარეობის თავისებურებებს;
- აცნობიერებს ურთიერთდამოკიდებულებას ბუნებრივ და სოციალურ გარემოს შორის და შეუძლია მისი შედეგების შემოწმება;
- აკვირდება ბუნებრივ გარემოს და აღიქვამს მასში მიმდინარე პროცესებს.

##### 1.2. დარგობრივი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

- მოიძიებს დამოუკიდებლად ზოგადი გეოგრაფიული მეცნიერებების მასალას (მათ შორის ინტერნეტის საშუალებით და სხვა პირობებში), აგროვებს, განაზოგადებს, ამუშავებს, აანალიზებს, აფასებს, ახდენს მის დოკუმენტირებას და შედეგების მოხსენებას
- ახდენს სივრცეში ორიენტაციას სხვა მუშაობის დროს ტოპოგრაფიული რუკებისა და სხვა საშუალებების გამოყენებით
- განსაზღვრავს გეოგრაფიული მეცნიერებების გამოყენების შესაძლებლობებს, მათ როლს საზოგადოებაში და პასუხისმგებლობას
- იყენებს რიცხობრივ, სტატისტიკურ და კარტოგრაფიულ მეთოდებს საზოგადოებრივი სისტემების განხილვისას
- მსჯელობს ზოგად სივრცით და/ან დროით კონტექსტში
- კითხულობს კარტოგრაფიული მასალას და ახდენს მის ინტერპრეტაციას
- იყენებს ველზე მუშაობის წესებს, უსაფრთხოების ზომების ჩათვლით \*
- გააჩნია გეოგრაფიული ინფორმაციული სისტემების საფუძვლების ცოდნა, შეუძლია მათი პრაქტიკაში გამოყენება
- სწორედ იყენებს გეოგრაფიულ ტერმინოლოგიას  
\*არ ეხებათ საზოგადოებრივ გეოგრაფებს

#### 2. ზოგადი კომპეტენციები:

- შეუძლია ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება
- შეუძლია ცოდნის მუდმივი განახლება
- დარგის ცოდნა-გააზრება და პროფესიის გათავისება
- შეუძლია მშობლიურ და უცხო ენაზე ზეპირი და წერილობითი ფორმით კომუნიკაცია
- შეუძლია დროის დაგეგმვა და მართვა (დროის მენეჯმენტი) დასახული მიზნის მისაღწევად
- შეუძლია დამოუკიდებლად მუშაობა
- შეუძლია სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მიღება, დამუშავება, ანალიზი და მონაცემების ინტერპრეტაცია
- იცნობს და იყენებს თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს

- შეუძლია დაკისრებული ამოცანებისა და ვალდებულებების პასუხისმგებლობით შესრულება
- შეუძლია პრობლემის იდენტიფიცირება, დასმა და გადაწყვეტა
- შეუძლია დასაბუთებული გადაწყვეტილების მიღება
- შეუძლია ჯგუფში მუშაობა

#### IV. სწავლა, სწავლება და შეფასება

სწავლებისა და სწავლის მეთოდები უნდა შეესაბამებოდეს წინასწარ განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. ტრადიციულ ლექციებთან ერთად გამოყენებულ უნდა იქნას პრაქტიკული მეცადინეობები, სემინარები, პროექტები, ჯგუფური მუშაობა და სწავლების სხვა აქტიური მეთოდები. თეორიისა და პრაქტიკის ინტეგრაცია უნდა განხორციელდეს როგორც შესაბამის ორგანიზაციებში პრაქტიკის გავლით, ასევე საველე სამუშაოს პირობებში. ბაკალავრიატის დონეზე პრაქტიკისა და საველე სამუშაოს მოცულობა არ უნდა შეადგენდეს სტუდენტის საერთო აკადემიური დატვირთვის 1/10–ზე ნაკლებს.

სტუდენტის მიერ კომპეტენციების დაუფლების შეფასების მიზნით მიზანშეწონილია ისეთი კრიტერიუმების გამოყენება, რომლებიც სრულად და მკაფიოდ ასახავენ, შეუძლია თუ არა მას პრობლემების იდენტიფიცირება და გადაჭრა, სამუშაოს წანამდღვრებისა და პირობების ფორმულირება, საკვლევი საკითხის დასმა, ანალიზი, დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება, გადაცემა, არგუმენტირება/დაცვა, შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენება. შეფასება უნდა იყოს როგორც შემაჯამებელი ხასიათის, ასევე ფორმატიულიც.

---

დარგობრივი დოკუმენტი შემუშავდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საუნივერსიტეტო კურიკულუმის განვითარების პროგრამის ფარგლებში. მას საფუძვლად დაედო თუნიზის კომპეტენციების კითხვარების საფუძველზე დაინტერესებულ მხარეებთან გამართული კონსულტაციები. წინამდებარე დოკუმენტის შემუშავებაში მონაწილეობდნენ:

1. ვალერიან მელიქიძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
2. ზურაბ დავითაშვილი - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
3. იოსებ სალუქვაძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
4. გიორგი გოგსაძე - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
5. ლია მაჭავარიანი – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი